

*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სამხედრო აღრიცხვის , გაწვევისა
და მობილიზაციის სამსახური*
ქ.ოზურგეთი რუსთაველის ქუჩა N22

2019 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

გაწვევის განყოფილება

2019 წლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გამოსაცხადებლად დაუწყებული იქნა 3200 წვევამდელი , მათგან გამოცხადდა გამწვევ კომისიაზე 707 წვევამდელი.საიდანაწაც „სამხედრო ვავლდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” კანონის 30-ე და 29-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადება მიეცა 499 წვევამდელს.

სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულად ვარგისად ცნობილი იქნა 82 წვევამდელი, ხოლო დროებით არავარგისად 24 წვევამდელი.

2019 წლის განმავლობაში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა 84 წვევამდელი.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში-30 წვევამდელი
- იუსტიციის ჯარში-24 წვევამდელი
- თავდაცვის ჯარში- 30 წვევამდელი
-

ასევე არაგეგმიურად გაწვეული იქნა 16 წვევამდელი :

- შ.ს.ს.ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხული იქნა -14 წვევამდელი
- არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური - 1 წვევამდელი
- სახელომწიფო უსაფრთხოების სამსახურში - 1 წვევამდელი

პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 268 ჭაბუკი.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის მ-21:პ-3-ის საფუძველზე (რომელთაც სხვადასხვა მიზეზით არ უმსახურიათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში და მიაღწიეს ზღვრულ ასაკს) რეზერვში გადარიცხული იქნა 372 წვევამდელი .

სანაგარიშო წლის განმავლობაში გაიცა 194 ცალი წვევამდელის სამხედრო საადრიცხვო მოწმობა.

მომზადდა ანგარიში 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენად შესაბამისი ფორმების მიხედვით.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში 18 დან-27 წლამდე კონტიგენტთა (წვევამდელთა) რაოდენობა შეადგენს 2958 წვევამდელს, აქედან გადავადებას ექვემდებარება 1451 წვევამდელი ხოლო გამოძახებას 1507 წვევამდელი, რომელთაგან 503 წვევამდელის დაუწყება ვერ ხერხდება რადგან შეცვლილი აქვთ საცხოვრებელი ადგილი ან/და გასულია არიან საზღვრებს გარეთ.

წლის განმავლობაში კორესპოდენციით შემოსულია 894 დოკუმენტი და გაცემულია 433 დოკუმენტი.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოსულია 27 წლამდე წვევამდელთა 57 და გადაგზავნილია 29 პირადი საქმე.
გარდა ამისა სისტემატიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოქალაქეთა მომსახურების მიზნით.

სამობილიზაციო განყოფილება

2019 წლის განმავლობაში მობილიზაციის განყოფილებაში შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები :

აღრიცხვაზე აყვანილი იქნა და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულ 176 რეზერვისტზე.

შესაბამის ბრძანებათა გათვალისწინებით აღრიცხვაზე აყვანილი იქნა და შეიქმნა როგორც სამხედრო სააღრიცხვო ასევე ანბანური ბარათები 1992 წელს დაბადებულ ზღვრულ ასაკს მიღწეულ 372 პირებზე.

შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო პროფესიულ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა 27 პიროვნება .მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

აქტიურ სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩაირიცხა 3 რეზერვისტი..მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

რეგისტრაციის მისამართის ცვლილების გამო აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამის რეგისტრაციის მისამართზე გადაიგზავნა 50 რეზერვისტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაცემული იქნა რეზერვისტის 113 ცალი მოწმობა.

შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები ქალაქისა და სოფლების მიხედვით სამობილიზაციო რეზერვის შემადგენლობაში, სამოქალაქო რეესტრიდან მოწოდებული მონაცემების შესაბამისად.

კანონმდებლობის საფუძველზე ასაკობრივი ზღვრების მიხედვით აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი რეზერვისტთა ნაწილი.

დამუშავდა თავდაცვის სარდლობის შტაბის J -1- ის სამსახურიდან გადმოგზავნილი საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულთა 77 პირადი საქმე და მათზე სამხედრო წოდებათა მიხედვით შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

ძალოვანი სტრუქტურებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები სპეციალური აღრიცხვის კარტოტეკაში.

თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მომართვის საფუძველზე სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობებისა და კოდების მიხედვით, სარეზერვო ბატალიონში ჩარიცხვის მიზნით დამუშავდა 72 ოფიცრისა

და 145 სერჟანტის პირრადი საქმე.შედგენილი და გადაგზავნილი იქნა სათანადო სიები მითითებული მონაცემებით.

შედარებული იქნა ოფიცრების ადა სერჟანტების კარტოტეკა სააღრიცხვო მონაცემებთან.

სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს გადაეგზავნა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე) სამობილიზაციო რეზერვში რიცხული 19-დან 60- წლის სასაკამდე რიგითთა, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის ანგარიში.(სულ 18 026 პირზე).

სასამართლოდან გადმოგზავნილ განაჩენთა საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი მსჯავრდებულთა კარტოტეკაში.

მომსახურეობა გაეწია სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათის ბრძოლებში მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს.მათთვის საჭირო ინფორმაციისა და მასალების მისაწოდებლად.

მიღებული იქნა მოქალაქეები , განხილული იქნა მათი მოთხოვნები და გაწეული იქნა სათანადო მომსახურეობა.

პასუხი იქნა გაცემული განყოფილებაში სხვადასხვა სტრუქტურებიდან შემოსულ კორესპოდენციებზე.

განხორციელებული იქნა სამსახურის დებულებით და სამართლებრივი აქტებით განსაზრვრული ფუნქციები.